გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/72

თბილისი **“ 17 “ ივლისი 2015 წ.**

შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის და გთსუ–ის წესდების მე–5 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სტუდენტთა სწავლის ღირებულება, რომლებსაც შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი, აღდგენის შემთხვევაში განისაზღვროს იმ სასწავლო წელზე არსებული სწავლის საფასურით, რომელზედაც სტუდენტი აგრძელებს სწავლას.

2. აღნიშნული წესი გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაბამის სასწავლო წელზე, რომელზედაც სტუდენტი აღდგენის შემდეგ აგრძელებს სწავლას დადგენილია ნაკლები ღირებულების სწავლის საფასური.

3. სტუდენტებს რომლებმაც ამ ბრძანების გამოცემამდე აღიდგინეს სტუდენტის სტატუსი და მათი სწავლის საფასური არის მეტი ვიდრე იმ სასწავლო წელზე არსებული სტუდენტების, შეუძლიათ განცხადებით მიმართონ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვონ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი. დეკანი დააკმაყოფილებს განაცხადს თუ სტუდენტს აქვს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

4. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

5. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს ფაკულტეტებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი გიორგი მათიაშვილი